სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/73

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით და პროგრამის თანახელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმის №13-ის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია”, თანახელმძღვანელი - პროფესორი მანანა სირაძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**